

ხულიგნობის კვალიფიკაციის პრაქტიკის სრულყოფა

ჭიჭიკოშვილი ზურაბი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის
სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრა

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია საკითხი, რომელიც შეეხება ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის პრობლემებს და იმ ნიშნებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ხულიგნობად. პრაქტიკაში ხულიგნობა უნდა გაიმიჯნოს სხვა დანაშაულებსაგან ბრალეულის განზრახვის არსისა და მიმართულების, მის მიერ ჩადენილი ქმედებების მოტივების, მიზნებისა და გარემოებების მიხედვით. შეურაცხყოფის მიყენება, ცემა, სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენება და სხვა მსგავსი ქმედებები, ჩადენილი ოჯახში, ბინაში, ნათესავების ან ნაცნობების მიმართ და გამოწვეული პირადი მტრული დამოკიდებულებით, დაზარალებულთა არასწორი მოქმედებებით და ა.შ., უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობის პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულებისათვის.

ხულიგნური ზრახვების არსებობა, მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა შურისძიების, ეჭვიანობის, პირადი მტრული დამოკიდებულების და ა.შ. მოტივებით - ესაა ძირითადი სუბიექტური კტორეტიები ხულიგნობისა და პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულების, აგრეთვე ხულიგნობის და ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ ძალადობის გამოყენების გამიჯვნისათვის.

საკვანძო სიტყვები: ხულიგნობა, ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია.

ხულიგნობის საქმეების საგამომიებო-სასამართლო პრაქტიკის შესწავლა მოწმობს რომ ამ დანაშაულის კვალიფიკაცია საკმაოდ წინააღმდეგობრივია. ეს აიხსნება ხულიგნობის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციის თავისებურებებით, რაც ემყარება ვრცლად ფორმულირებული დამახასიათებელი ნიშნების ერთობლიობას (საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა, აშკარა უპატივცემულობა საზოგადოების მიმართ) ხულიგნურ ქმედებათა გამოვლინებების კონკრეტული ფორმების მრავალფეროვნებასთან ერთად. გარდა ამისა, ხულიგნობა ობიექტური მხარის მიხედვით ემსგავსება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემადგენლობებს (საკუთრების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების და ა.შ. ხელყვლა). ქმედების კვალიფიკაციის დროს ეს გარემოებები მნიშვნელოვნად ართულებს ხულიგნობისა და მოსაზღვრე დანაშაულებათა შემადგენლობების გამიჯვნას.

ჩვენი აზრით, ძნელია დავეთანხმოთ იმ იურისტებს, რომლებიც გვირჩევენ გავმიჯნოთ ხულიგნობა მისი მსგავსი ქმედებებისაგან პირველ რიგში ობიექტური ნიშნების მიხედვით. იმ მოსაზრებამ, რომ ეს დანაშაულები გაიმიჯნოს მხოლოდ ობიექტური ან მხოლოდ სუბიექტური ნიშნებით, შესაძლოა მიგვიყვანოს შეცდომამდე დანაშაულებრივი ქმედებების კვალიფიკაციაში. ხულიგნობისა და მისი მომიჯნავე დანაშაულთა გამიჯვნის კრიტერიუმი ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთობლიობაშია. მათ შორის გამიჯვნისათვის რეალური მნიშვნელობა, ცხადია, აქვთ

სუბიექტურ ნიშნებს, კერძოდ განზრახვის არსსა და მიმართულებას, დანაშაულის მოტივებსა და მიზნებს.

ზოგიერთ დანაშაულში ხულიგნური განზრახვის არსებობა არის შემადგენლობის არა ფაკულტატური, არამედ აუცილებელი ნიშანი. ხულიგნური განზრახვის არსებობა, ისევე, როგორც სხვადასხვა შემადგენლობათა სუბიექტური მხარის მრავალი სხვა ელემენტი დგინდება არა პირის აღიარებით, რომ ის მოქმედებდა ხულიგნური განზრახვით, არამედ საქმის მთელი გარემოებების მიხედვით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს ხულიგნური განზრახვით მოქმედი პირი ხშირად იმყოფება ნასვამ მდგომარეობაში და არა აქვს უნარი თავად შეაფასოს იმ მოტივებისა და ქმედების ხასიათი, რითაც ის მოქმედებდა.

გ. ანაშკინის აზრით, “ხულიგნური მოტივები ვლინდება უხამსობით, საზოგადოებისადმი უხეში მოქცევით... უმნიშვნელო გაღიზიანებამ და სხვა უმცირესმა საბაბებმა შეიძლება განაპირობონ ხულიგნის მიერ პიროვნების წინააღმდეგ მძიმე დანაშაულის ჩადენა”.

როგორც ჩანს ანაშკინი იძლევა ხულიგნური ქმედების დროს ქცევის მხოლოდ გარეგნული მხარის აღწერას, მაგრამ არ განსაზღვრავს იმას, თუ რა წარმოადგენს ხულიგნობის ჩამდენი პირის სუბიექტურ განზრახვას.

ბ. ხარაზიშვილი საზოგადოებისადმი უპატივცემულობას აიგივებს ონავრობასთან, მაგრამ ეს არ არის ერთი და იგივე, ხოლო მათზე საუბარი, როგორც ფსიქიკურ მდგომარეობაზე, რომელიც “ასრულებს მოტივის ფუნქციას”, უსაფუძვლოა. საჭიროა გავანალიზოთ, თუ რა წარმოადგენს ამ შემთხვევაში დანაშაულის მოტივს.

ხულიგნური განზრახვა ნიშნავს, რომ სუბიექტს კმაყოფილებას ანიჭებს თავად დანაშაულებრივი ქმედება, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, რომ ის სიამოვნებას იღებს თავისი ანტისაზოგადოებრივი ქცევისაგან.

ხულიგნური განზრახვის არსებობის დასაბუთება იმით, რომ დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი, სრულებით მიუღებელია. ნებისმიერი დანაშაული, და მითუმეტეს საჯაროდ ჩადენილი დანაშაული, არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს. მაგრამ ამით დგინდება შემადგენლობის მხოლოდ ობიექტური ნაწილი. იმისთვის, რომ საზოგადოებრივი წესრიგის ობიექტური დარღვევა იყოს საფუძველი ხულიგნური განზრახვის არსებობის ცნობისათვის, აუცილებელია, რომ საზოგადოებრივი წესრიგის სწორედ ეს დარღვევა იყოს სუბიექტის ქცევის მოტივი, ანიჭებდეს მას სიამოვნებას.

პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად ხულიგნური მოტივით ჩადენილი დანაშაული ითვლებოდა უმოტივო და უმიზნო ქმედებად, მაშინ როდესაც არც უმიზნო საქციელი და არც უმოტივო ქმედება არ არსებობს.

ხულიგნობის მოტივს წარმოადგენს პირის მისწრაფება, დაუპირისპირდეს საზოგადოებას, დაუმტკიცოს მას აგრესიული ქმედების ჩადენით, რომ არაფრად თვლის გაბატონებულ ზნეობრივ ნორმებს, რაც მისი აზრით, მის უპირატესობას ადასტურებს საზოგადოების სხვა წევრების მიმართ.

სამართალგამოყენებითი პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ სისხლის სამართლის კანონის გამოყენებისას დაშვებული ყველაზე სერიოზული შეცდომა- ესაა საქმის იმ გარემოებების ზედაპირული გამოკვლევა, რომლებიც ერთობლივად მოწმობენ ბრალეულის განზრახვის ჭეშმარიტ მიმართულებას, მისი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების მოტივისა და მიზნის არსს. სწორედ ამის შედეგად ქმედების არასწორი კვალიფიცირება ხულიგნობად, მაშინ როდესაც ფაქტობრივად ჩადენილია დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ და პირიქით.

უნდა აღნიშნოს რომ იურიდიულ ლიტერატურაში, განზრახვის მიმართულებისა და არსის, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჭეშმარიტი მოტივების დადგენა-ესაა მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი კრიტერიუმი ხულიგნობისა და პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამიჯვნისათვის. ზოგჯერ პირადი, მტრული ურთიერთობის ნიადაგზე ცემის, ჯამრთელობისათვის ზიანის მიყენების თავად ფაქტი ჯერ კიდევ არ მეტყველებს ბრალეულის ქმედებებში ხულიგნობის ნიშნების არარსებობაზე. აქ გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ობიექტური კრიტერიუმი – მათი ჩადენის ვითარება. იურისტთა ნაწილი თვლის, რომ შეურაცხყოფა, ცემა, სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანებების მიყენება, თუნდაც გამწვავებული პირადი მტრული ურთიერთობებით, მაგრამ ჩადენილი ისეთ ვითარებაში, როდესაც ისინი ერთდროულად უკავშირდებოდა საზოგადოებრივი წესრიგის აშკარა უხეშ დარღვევას და გამოხატავდა აშკარა უპატივცემულობას საზოგადოების მიმართ, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ხულიგნობა.

ასეთი კვალიფიკაციის თვალსაჩინო მაგალითია შ-ს საქმე, რომელმაც მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა, ხულიგნური ზრახვებით, საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევით, ეჭვიანობის ნიადაგზე ჩხუბი აუტეხა ტოლს, შემდეგ კი დაუწყო ცემა რკინის წნელით და დევნება სოფლის ცენტრალურ ქუჩაზე. აღშფოთებული თანასოფლელების შენიშვნებზე არ რეაგირებდა. რაიონულმა სასამართლომ შ-ს მსჯავრი დასდო ხულიგნობისათვის.

ჩვენი აზრით, ძნელია დაეთანხმო სასამართლოს აღნიშნულ პოზიციას. ჯერ ერთი, ჩვენ გვესახება, რომ არ შეიძლება ხულიგნობად დაკვალიფიცირდეს ქმედება, ჩადენილი არა ხულიგნური ზრახვებით რომლებიც, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენენ ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. მეორეც, მსგავსი წესი ეწინააღმდეგება სამართლით დაცული ობიექტების – პიროვნებისა და საზოგადოებრივი წესრიგის სწორ შეფასებას. პიროვნება, რომელზედაც მოხდა ძალადობრივი თავდასხმა და მორალურად ან ფიზიკურად უშუალოდ დაზარალდა, ხდება სისხლისსამართლებრივი დაცვის მეორეხარისხოვანი ობიექტი.

ამრიგად, ხულიგნობის შემადგენლობამ შეიძლება მოიცვას მისი მსგავსი დანაშაულის ნიშნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც, ჯერ ერთი, პირის მოქმედებები შეესაბამება სსკ 239-ე მუხლის დისპოზიციის ადგილობრივ ობიექტურ ნიშნებს და მეორეც, როდესაც ეს ქმედებები ჩადენილია ხულიგნური ზრახვებით.

სსკ 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ვ” პუნქტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს რომ, აუცილებელია, რომ სუბიექტს შეგნებული ჰქონდეს, რომ წინააღმდეგობას უწევს სწორედ ხელისუფლების წარმომადგენელს ან სხვა პირს, რომელიც იცავს საზოგადოებრივ წესრიგს. ხულიგნობის ეს ნაირსახეობა წარმოადგენს რთულ დანაშაულს, რამდენადაც მიიღება თითქოს ორი ქმედების, ხულიგნობისა და წინააღმდეგობის კავშირით, რომელთაგანაც თითოეული, ცალკე აღებული, შეიცავს დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას. აღნიშნული ქმედების სწორი კვალიფიცირებისთვის, როგორც მართებულად შენიშნავს ზოგიერთი ავტორი, უნდა გამოვიდეთ მათ შორის შინაგანი კავშირის არსებობიდან ან არარსებობიდან. ქმედების 239-ე მუხლის მე-2 ნაწ. “ვ” პუნქტით კვალიფიცირებისათვის საჭიროა არა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გარეგანი თანმიმდევრობა, არამედ მათი შინაგანი ერთიანობა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ წინააღმდეგობა წარმოადგენს დაწყებული და ჩადენილი ხულიგნობის გაგრძელებას.

ასე მაგალითად, 1993 წლის 7 სექტემბერს დაახლოებით 19 სთ-ზე საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ხ-მ ხულიგნური ზრახვებით კ.ს

აუტეხა ჩხუბი, რომლის დროსაც, უხეშად დაარღვია რა საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატა აშკარა უპატივცემულობა საზოგადოების მიმართ, მას მიაყენა რამდენიმე დარტყმა, რითაც კ-ს ჯამრთელობას მიაღება მსუბუქი ზიანი. ზ.გ. და დ ცდილობდნენ ზ.ს ხულიგნური ქმედებების აღკვეთას, მაგრამ ის აგრძელებდნენ კ.ს ცემას, აგრეთვე განახორციელა თავდასხმა დ.ზე როდესაც ადგილზე მისული სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები ცდილობდნენ მის ჩასმას მანქანაში, ის უცენზურო გამოთქმებს იყენებდა მათი მისამართით, ფიზიკურად ეხებოდა და უმალიანდებოდა. სასამართლომ მართებულად შეაფასა ხ.ს. ქმედება როგორც ხულიგნობა, დაკავშირებული წინააღმდეგობასთან ხელისუფლების წარმომადგენლისადმი და სხვა მოქალაქეებისადმი, რომლებიც აღკვეთდნენ ხულიგნურ ქმედებებს.

იმ შემთხვევაში, თუკი ხულიგნობასა და წინააღმდეგობას შორის არ არსებობას შინაგანი კავშირი, ასეთი ქმედებები ქმნიან დანაშაულთა ერთობლიობას.

ზოგიერთ შემთხვევაში ხულიგნური ზრახვებით ჩადენილი დანაშაულები წარმოადგენენ დამოუკიდებელ დანაშაულებს და არ შემოიფარგლებიან ხულიგნობის შემადგენლობით. კერძოდ, სხვა ადამიანის სიცოცხლის განზრახ ხელყოფა, აგრეთვე ჯამრთელობისათვის მძიმე ან საშუალო სიმძიმის ზიანის განზრახ მიყენება, როგორ გარემოში და რა მოტივებითაც არ უნდა ხდებოდეს ისინი, თავისთავად საზოგადოებრივად იმდენად საშიში ქმედებებია, რომ კანონმდებლის მიერ არ განიხილება როგორც, ხულიგნობის ნიშნები და ყოველთვის მოითხოვს დამოუკიდებელ სისხლის სამართლებრივ შეფასებას.

დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციის საკითხი საკმაოდ რთული გადასაწყვეტია, თუკი მკვლელობა, ჯამრთელობისათვის მძიმე ან ნაკლებად მძიმე ზიანის მიყენება არ იყო რგოლი ხულიგნური ქცევის აქტთა ჯაჭვში, თუკი პიროვნებას არ დაურღვევია საზოგადოებრივი წესრიგი. უნდა აღინიშნოს, რომ ხულიგნური ზრახვებით ჩადენილი ეს დანაშაულები შეიძლება იყოს დამოუკიდებელი, იზოლირებული დანაშაულებრივი აქტები, რომლითაც პიროვნებას პირველ რიგში სურდა გამოეხატა უპატივცემულობა საზოგადოებისადმი და არა დაზარალებულის პიროვნებისადმი, რომელსაც დამნაშავე ადრე არ იცნობდა და არ ჰქონია მასთან ცუდი ურთიერთობა.

როგორც ცნობილია, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მკვლელობის, ჯამრთელობისათვის მძიმე ან ნაკლებად მძიმე ზიანის მიყენების კვალიფიცირებული შემადგენლობის კონსტრუქციულ ნიშანს წარმოადგენს ხულიგნური განზრახვა. აქედან გამომდინარეობს, რომ ხულიგნური განზრახვით ჩადენილი მკვლელობა, ჯამრთელობისათვის მძიმე ან ნაკლებად მძიმე ზიანის მიყენება, როცა არ არსებობს მონაცემები, რომ პირი, ახორციელებდა სსკ-ის 239-ე მუხლით გათვალისწინებულ ხულიგნურ ქმედებებს, კვალიფიცირდება შესაბამისად მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის “კ” პუნქტით, 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის “კ” პუნქტით, და 118-ე მუხლის მე-2 ნაწილის “კ” პუნქტით.

სწორი კვალიფიკაციისათვის ყველაზე დიდ სიმძნელეს წარმოადგენს ხულიგნური ზრახვების ნიადაგზე წარმოშობილი და გაგრძელებული ჩხუბის დროს ჩადენილი მკვლელობის შემთხვევები. ასეთ დროს აუცილებელია საქმის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური გარემოების ანალიზი. ჩხუბის დაწყების განმაპირობებელი ხულიგნური ზრახვის დადგენა დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე და უწინარეს ყოვლისა ბრალეულისა და დაზარალებულის პიროვნებების, მათ მკვლელობამდელი ურთიერთობის ყურადღებით შესწავლაზე, ჩხუბის დაწყების საბაზზე, ჩხუბის დროს ბრალეულისა და დაზარალებულის ქმედებების ხასიათზე და ა.შ. სასამართლო

პრაქტიკის შესწავლა მოწმობს იმას, რომ, როგორც წესი, ხულიგნური მოტივებით ხელმძღვანელობს ის პირი, რომელიც გამოდის ჩხუბის ინიციატორად ან ახდენს მის პროვოცირებას. ამასთან ბრალეულის ქმედების საფუძველს შეადგენს ან საკუთრივ ხულიგნური ზრახვა, ან იგივე ზრახვა სხვა მოტივებთან ერთად. ჩხუბი ამ შემთხვევაში წარმოადგენს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის გამოვლენის ფორმას, რომელიც ფინალში მთავრდება მკვლელობით.

რეალური ერთობლიობის შემთხვევაში ხულიგნური ქმედებები და სხვა მომინჯნავე მცდელობები, მაგალითად მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით, პიროვნების ჯანმრთელობისათვის მიმე ან ნაკლებად მიმე ზიანის მიყენება, უნდა დაკვალიფიცირდეს რამდენიმე დამოუკიდებელი მუხლით. თუკი პირმა ხულიგნური განზრახვით მკვლელობის გარდა ჩაიდინა სხვა განზრახ ქმედებები, რომელმაც უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, გამოხატავდა აშკარა უპატივცემულობას საზოგადოებისადმი და თან სდევდა მოქალაქეთა მიმართ ძალადობის გამოყენება ან გამოყენების მუქარა, მაშინ მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ს 109-ე მუხლის “კ” პუნქტით და 239-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით.

ასეთია, ჩვენი აზრით სისხლის სამართლებრივად დასჯადი ხულიგნობის შეფასების და ხულიგნურ ქმედებათა კვალიფიკაციის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია სხვა ობიექტების ხელყოფასთან. ვიმედოვნებთ, რომ სპეციალური იურიდიული ლიტერატურისა და შესაბამისი კანონმდებლობის გარჩევის პროცესში ჩვენს მიერ დასაბუთებული განზოგადებები და მისი გამოყენების პრაქტიკის კრიტიკული ანალიზი, რეკომენდაციები ხულიგნური მოტივაციით ჩადენილ დანაშაულებათა კვალიფიკაციის პრაქტიკის სრულყოფისათვის, ხელს შეუწყობს ამ სფეროში სამართალგამოყენებითი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Щедрина А.К. и др. Практическое пособие для товарищеских судов – М. 1961 с.179
2. Гришанин Юридическая квалификация хулиганских действия Лекция – М 1969
3. Ляпунов Ю.И. Соотношение хулиганства и преступлений против личности 1980 № 9.
4. Вакленко С.В. Уголовно-правовые меры воздействия на хулиганские проявления с 45.
5. Куделич А.В. Хулиганство и убийство в уголовном праве общее и особенное – М 1993. с 18.

სტატია მიღებულია: 2005-05-06